

მტკიცებულებების მოპოვების სირთულეები და მტკიცების სტანდარტი
ოჯახში ძალადობის საქმეებზე

დიანა ბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

დიანა ბერიძე

03.07.2021

აბსტრაქტი

შესავალი: თანამედროვე მსოფლიოსთვის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაული არ არის უცხო. გაუმართლებელი და მიუღებელია ძალადობის ყველანაირი გამოვლინება. როდესაც დანაშაული ხდება, აუცილებელია შესაბამისი რეაგირება და მოძალადის დასჯა, რადგან სამომავლოდ თავიდან ავირიდოთ დანაშაულის განმეორებით ჩადენა. სწორედ ეს არის მართლმსაჯულების გამოწვევა იმ დანაშაულთან ბრძოლაში, რომელსაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა ეწოდება, ვინაიდან დანაშაულის ეს ფორმა სპეციფიკური ბუნებისაა და მტკიცებულებათა სიმწირით გამოირჩევა, რაც ართულებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, სხვადასხვა მეთოდის, სტანდარტის და ნორმის შემუშავებით და განხილვით, რაც ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის დანაშაულების დროს, ბრალდებულის მიმართ ობიექტური და სამართლიანი განაჩენის გამოტანას. არსებითი საკითხები შეიძლება იყოს: მტკიცებულებათა სიმცირე, საქმეზე ირიბი მტკიცებულებების არსებობა, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინება, რაც ხშირ შემთხვევაში რეალური ბრალდებულის გათავისუფლების საფუძველი ხდება. **მეთოდოლოგია:** ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი, რაც საკვლევ საკითხს, მიზნის განხორციელებაში დაეხმარება. სასამართლო გადაწყვეტილებების, სხვადასხვა ქვეყნების მიერ დანერგილი სამართლებრივი მეთოდების ანალიზის და შედარების შედეგად, ჩამოყალიბებულია ის მოსაზრებები, რაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულების დროს, მტკიცებულებათა მოპოვებაში დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს, რაც აუცილებელია ობიექტური მართლმსაჯულებისათვის. **შედეგები:** ოჯახში და ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებული მიდგომის დანერგვა არის საჭირო. გასათვალისწინებელია ოჯახში ძალადობის დანაშაულის განსხვავებული ბუნება, ვინაიდან რთულია მტკიცებულებების მოპოვება. ასევე, სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა და

მტკიცებულებითი სტანდარტი, ვერ უზრუნველყოფს დანაშაულზე შესაბამის რეაგირებას. არ არის იმპერატიულად განსაზღვრული სასამართლოებისათვის, თუ რა შემთხვევაში უნდა გამოიყენონ ირიბი მტკიცებულებები საქმეზე. ამგვარად, გამოსამუშავებელია ტენდენცია, რომ დაუსჯელი არ დარჩება რეალური დამნაშავე, რაც ხელს შეუწყობს, ოჯახში ძალადობის დანაშაულების შემცირებას. თუ ბრალდებულები ისევ გააგრძელებენ დაზარალებული მოწმის დაშინებას, მათზე ზემოქმედების მოხდენას, არსებითი მნიშვნელობა არ და ვერ ექნება მეთოდებს, რაც ერთგვარ სტრატეგიად გვევლინება, ამ დანაშაულთან ბრძოლაში. **შეჯამება/რეკომენდაციები:** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და დანაშაულთან მებრძოლი ინსტიტუტების უფრო ეფექტურად მუშაობისათვის, მიზანშეწონილია მათი გადახედვა და ახალი ხედვების ჩამოყალიბება. ირიბი მტკიცებულებების გამოყენების დასაშვებობა მოძალადის დასასჯელად, დანაშაულის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინების შედეგად, ბევრ მსხვერპლ ქალს გადაარჩენდა. ამდენი წლის მანძილზე, როდესაც არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს და ვერ ახერხებს ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე შესაბამის ერთგვაროვან რეაგირებას, დაზარალებული მოწმეებიც ხშირად თავს იკავებენ ძალადობის გამოვლენაზე, ვინაიდან შეიძლება მტკიცებულებების სიმწირემ, მტკიცებულებათა განსხვავებულმა სტანდარტმა, ბრალდებული გაათავისუფლოს და ისინი უფრო დიდი საშიშროების წინაშე დადგნენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოჯახში ძალადობის დანაშაულები, მტკიცებულებათა სიმწირე, დაზარალებული მოწმე, ჩვენების მიცემა, ირიბი მტკიცებულება, სტანდარტი.¹

¹ აბსტრაქტის მონაკვეთი ამოღებულია ჩემ მიერ აკადემიური კურსის ფარგლებში, 2020 წელს შესრულებული ტექსტიდან - ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე მტკიცებულებათა სიმწირე და მათი მოპოვების სირთულეები.

Abstract

Introduction: For the modern world, the crime of domestic violence and violence against women is not unfamiliar. All manifestations of violence are unjustified and unacceptable. When a crime occurs, it is essential to respond appropriately and punish the abuser in order to avoid repeating the crime in the future. This is the challenge of justice in the fight against so-called domestic violence against women, because this form of crime is specific in nature and is characterized by the lack of evidence, which complicates the decision in the case. That's why **the aim** of the research is to focus on the issues, by developing and discussing different methods, standards and norms, which will facilitate an objective and fair trial of the accused in cases of domestic violence. Substantive issues may be: lack of evidence, the existence of indirect evidence in the case, compliance with the requirements of the relevant articles of the criminal code, becomes the basis for the release of the real culprit. **Methodology:** Various methods have been used to achieve the above-mentioned goal, which will help the research issue to achieve its results. Based on the analysis and comparison of court decisions, legal methods introduced by different countries, opinions have been developed that will assist law enforcement agencies in obtaining evidence necessary for objective justice in cases of domestic violence and crimes against women.

Results: A special approach is needed to fight crimes against the family and women. The different nature of the crime of domestic violence must be taken into account, as it is difficult to obtain evidences. Also, the heterogeneous practice and evidence standard established by the court fails to ensure an appropriate response to the crime. It's not imperatively defined for courts, in which cases should indirect evidence be used in the case. Thus, there must be developed the tendency, which will ensure that, the real culprit won't stay unpunished, which will help to reduce the crimes of domestic violence. If the accused will continue to intimidate the victim witness, to influence them, methods that are a kind of strategy in the fight against this crime are not and will not be essential.

Conclusion/Recommendations: In order to make the criminal procedure code and crime-fighting institutions work more effective, it is advisable to review them and formulate new visions. Admissibility of the use of indirect evidence to punish the perpetrator, as a result of considering the legal nature of the crime, would save many women victims. For so many years, when existing legislation fails to respond uniformly to domestic violence offenses, affected witnesses also often refrain from reporting violence, because it's possible that the lack of evidence and a different standard of evidence, caused the release of the accused and they will face greater danger

Key words: Crimes of domestic violence, lack of evidence, affected witness, testimony, indirect evidence, standard.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეულ ლექტორს, ექსპერტს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და სამართლის მაგისტრს, ბატონ გოგა ხატიაშვილს. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსის „აკადემიური წერა იურისტებისთვის“ ხელმძღვანელს, თიკო თურქიას. ასევე მადლობას ვუხდის, ჩემ მეგობრებს და ახლობლებს იმისათვის, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში იდგნენ ჩემ გვერდით, მამხნეებდნენ, მაიმედებდნენ, სტიმულს და ენერჯიას მინაწილებდნენ, რაც ძალიან დამეხმარა ნაშრომის სრულყოფაში.